საქართველოს კანონი

„საავტომობილო ტრანსპორტის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე

მუხლი 1. „საავტომობილო ტრანსპორტის შესახებ“ საქართველოს კანონში (საქართველოს პარლამენტის უწყებები, 1994–1995, №№27–30, მუხ. 575) შეტანილ იქნეს შემდეგი ცვლილება:

1. პირველ მუხლს დაემატოს შემდეგი შინაარსის 1^2 პუნქტი:

„1^2. კლასიკური ავტომობილი – მექანიკური სატრანსპორტო საშუალება, რომელიც აკმაყოფილებს საქართველოს მთავრობის შესაბამისი კანონქვემდებარე ნორმატიული აქტით დადგენილ მოთხოვნებს და რომლის წლოვანებაც 40 წელს აღემატება.“.

2. კანონს დაემატოს შემდეგი შინაარსის 8^6 მუხლი:

„მუხლი 8^6. კლასიკური ავტომობილი

ავტომობილის კლასიკურ ავტომობილად მიჩნევის წესი და კრიტერიუმები, რომლებსაც იგი უნდა აკმაყოფილებდეს, აგრეთვე მის ექსპლუატაციასთან დაკავშირებული საკითხები განისაზღვრება საქართველოს მთავრობის კანონქვემდებარე ნორმატიული აქტით.“.

მუხლი 2. საქართველოს მთავრობამ 2023 წლის 1 ივლისამდე უზრუნველყოს ამ კანონის პირველი მუხლის მე-2 პუნქტით გათვალისწინებული „საავტომობილო ტრანსპორტის შესახებ“ საქართველოს კანონის 8^6 მუხლით განსაზღვრული კანონქვემდებარე ნორმატიული აქტის მიღება.

მუხლი 3

1. ეს კანონი, გარდა ამ კანონის პირველი მუხლისა, ამოქმედდეს 2023 წლის 1 ივნისიდან.

2. ამ კანონის პირველი მუხლი ამოქმედდეს 2023 წლის 1 ივლისიდან.

საქართველოს პრეზიდენტი **სალომე ზურაბიშვილი**

თბილისი,

16 მაისი 2023 წ.

N2881-XIმს-Xმპ